ოქმი:**ო63. 63251483**
თარიღი:**28/05/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის გასვლითი სხდომის

ო ქ მ ი N8

23 მაისი. 2025 წელი.

მიმდინარე წლის 23 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი მელაშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, როლანდ ეცადეიშვილი, ტარიელ დვალიშვილი, ალექსანდრე ალფაიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. მერის წარმომადგენელი დიდი ჯიხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ნუგზარ ნუცუბიძე.

2. სოფელ დიდი ჯიხაიშის 24-ე ქუჩის მცხოვრებნი.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში 24-ე ქუჩისთვის სახელის შეცვლისა და პოლიკარპე მიქაძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (8 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრთა (8 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, სოფელ დიდი ჯიხაიშის მცხოვრებლებს მოახსენა, რომ მათ მიერ შემოტანილი განცხადება, სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ განიხილა.

ირაკლი მელაშვილი - მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ შემოტანილი განცხადება, სადაც ითხოვთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მე-24-ე ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) პოლიკარპე მიქაძის სახელი.

მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის ყველა წევრი მხარს უჭერს ერთხმად ზემოაღნიშნულ საკითხს.

ყოველი გადაწყვეტილება, სახელდებასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს მოსახლეობასთან კონსულტაციას. შესაბამისად, ჩვენმა კომისიამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა გასვლითი სხდომა და მოსახლეობისთვის ეკითხა აზრი.

აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა და სოფელი დიდი ჯიხაიშის 24-ე ქუჩის მცხოვრებლებმა.

გიორგი ლეჟავა - პოლიკარპე მიქაძის ღვაწლი და დამსახურება დიდია. ის ემსახურებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ეს ყველაფერი კარგად არის აღწერილი გიორგი ალავერდაშვილის წიგნში ,,ნიკო ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელი“. ეს სასწავლებელი, იყო ისტორიული ადგილი, სადაც სტუმრობდნენ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები,მწერლები, პოეტები, დრამატურგები, მსახიობები, სპორტსმენები, როგორებიც იყვნენ - იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, იპოლიტე ხვიჩია, ლევან თედიაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, ვახტანგ ბალავაძე. სასწავლებელში სწავლობდნენ არა მარტო დიდი ჯიხაიშშის, არამედ, საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი. პოლიკარპე მიქაძე ნამდვილად იმსახურებს, რომ მისსავე სოფელში მისის სახელი უკვდავყოფილი იყოს. ამიტომ მხარს ვუჭერ 24-ე ქუჩის მცხოვრებთა ინიციატივას.

დავით ლორთქიფანიძე - მოხარული ვართ, რომ პატივი გვხდა წილად, ჩვენს ქუჩას (24-ე ქუჩას), მიენიჭოს ამ დიდებული ადამიანის სახელი. ვფიქრობ, რომ პოლიკარპე მიქაძის ძეგლიც კი უნდა დაიდგას ჩვენს სოფელში, მას ისეთი ღვაწლი აქვს თითოეული ოჯახის მიმართ.

კობა მანჯგალაძე - 51-ე წელია დაკავშირებული ვარ ნიკო ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელთან და თამამად შეიძლება ვთქვა, რომ თუ რამე ვიცი სწორედ ამ დიდებული პიროვნების,პოლიკარპე მიქაძის დამსახურებაა. მივესალმები მოსახლეობის ინიციატივას.

ნუგზარ მიქაძე - მადლობა მინდა გითხრათ ამ ინიციატივისთვის. ქუჩას, რომელიც პირდაპირ ესაზღვრება ნიკო ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელს, სადაც მამამ გაატარა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი და მუდამ მის განვითარებაზე ფიქრობდა, მიენიჭება მისი სახელი. ეს ჩვენი ოჯახისთვის ძალიან დიდი პატივია.

ირაკლი მელაშვილი - როგორც მოსახლეობასთან კონსულტაციით ირკვევა, სოფელ დიდი ჯიხიშშის მცხოვრებნი ეთანხმებით და მიესალმებით, რომ სოფელ დიდი ჯიხაიშში 24-ე ქუჩას მიენიჭოს პოლიკარპე მიქაძის სახელი.

ჩვენ მოვამზადებთ დოკუმენტაციას, სამთავრობო კომისიაში გასაგზავნად.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (8 ხმით) მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტი და მიემართოს სამთავრობო კომისიას.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი